დანართი N2

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII კლასის ზოგიერთი საგნისა და VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადისა და სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფციის წარმოდგენისა და სხვა ვადები

1. სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფციის წარმოდგენა - 2019 წლის 28 ოქტომბერი - 1 ნოემბრის ჩათვლით;
2. სახელმძღვანელოს/სერიის კონცეფციის შეფასება და შედეგების გაცნობა - 2019 წლის 29 ოქტომბერი - 13 ნოემბერის ჩათვლით;
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანდიდატურის წარმოდგენა 2020 წლის 3-14 თებერვლის ჩათვლით;
4. **განაცხადების რეგისტრაცია-შემოწმება:**
   4.1 გრიფირების განაცხადის (საბუთების და სახელმძღვანელოს მაკეტის) წარმოდგენა -2020 წლის 17-21 თებერვლის ჩათვლით;
   4.2 გრიფირების განაცხადზე მატერიალური ფორმით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენა - გრიფირების განაცხადის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღე;
   4.3 გრიფირების განაცხადების შემოწმება 2020 წლის 17-26 თებერვლის ჩათვლით;
   4.4 გრიფირების განაცხადებში ხარვეზის აღმოფხვრა - გრიფირების განაცხადზე ხარვეზის დადგენიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღე.
5. სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირება/საჩივრების წარდგენა/განხილვა/გადაწყვეტილების მიღება და შედეგების გაცნობა- 2020 წლის 4 მარტი - 18 ივნისის ჩათვლით;
6. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის/მაკეტის განხილვა და შენიშვნა/რეკომენდაციის წარმოდგენა 2020 წლის 4 – 20 მარტის ჩათვლით;
7. განცხადებლის მიერ, სახელმძღვანელოს/სერიისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ ჰონორარზე მისთვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტული) ოდენობის წარდგენა გარანტორისთვის - 2020 წლის 30 აპრილი;
8. გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გაფორმების ვადა - არაუგვიანეს 2020 წლის 19 ივნისი;
9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის შერჩევა 2020 წლის 22 ივნისი - 5 ივლისის ჩათვლით;
10. ავტორის/საავტორო უფლების მფლობელის მიერ, სახელმძღვანელოს/სერიის ვებგვერდის (მოქმედი) შესახებ ინფორმაციის (მისამართი) წარდგენა - გრიფის მინიჭების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან მეორე კალენდარული დღე.